ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1342897

ნომერი: AR1230517

თარიღი : 19.06.2014

გაცემის თარიღი : 20.06.2014

გაცნობის თარიღი : 23.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ატენის ქუჩის შესახვევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 3 ივნისის #1307233 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 19 ივნისს #AR1230517 განცხადებით მომართა შპს Real Estate Development Company–ის დირექტორმა მირიან ქათამაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 3 ივნისის #1307233 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა, კერძოდ წარმოდგენილი გასწორებული გეგმების დართვა აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 3 ივნისის #1307233 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ატენის ქუჩის შესახვევში მდებარე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.14.14.005.195) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ტექნიკური შეცდომის გამო შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე (3.00 და 6.10 ნიშნული) საოფისე ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლები იქნა არასწორად დაფიქსირებული, თუმცა აღნიშნული გეგმების ვექტორულ ფაილში და ბრძანებაში ზემოაღნიშნული ფართების მაჩვენებლები მოცემულია სწორად. აქედან გამომდინარე იგი ითხოვს PDF ფორმატში არსებული გეგმების (3.00 და 6.10 ნიშნული) ჩანაცვლებას გასწორებული გეგმებით.

სამასხურმა შეამოწმა 2014 წლის 3 ივნისის #1307233 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ნახაზები და დაადგინა, რომ საოფისე ფართი 3.00 ნიშნულზე შეადგენს 279,4 კვ.მ–ს, ხოლო 6.10 ნიშნულზე 916.9 კვ.მ–ს. აღნიშნული ფართები დაფიქსირებულია როგორც გეგმების ვექტორულ ფაილში, ასევე ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს Real Estate Development Company–ის დირექტორის მირიან ქათამაძის 2014 წლის 19 ივნისის #AR1230517 განცხადება;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 3 ივნისის #1307233 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტის გეგმების (3.00 და 6.10 ნიშნული) PDF ფაილები შეიცვალოს წარმოდგენილი გეგმების (3.00 და 6.10 ნიშნული) PDF ფაილებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 3 ივნისის #1307233 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.